ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 90

15 მაისი
"---" -------- 2020 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042) (საკადასტრო კოდი: №01.11.12.012.042.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრორაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042), (საკადასტრო კოდი: №01.11.12.012.042.01.500) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 მაისის №20.480.621 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042), პირველ სართულზე მდებარე 53.38 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.11.12.012.042.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მთვარისა ჩალიგავასთვის (პ/ნ:42001011349) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**